

დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის
27 ივლისი, 2018

საკონტაქტო პირი:
თბილისი: დიანა ჩაჩუა
dchachua@ndi.org / +995 577 77 96 39
ვაშინგტონი: ჯერი ჰარტსი
jhartz@ndi.org / +1 202 728-5500

საპრეზიდენტო არჩევნების მნიშვნელობა ბუნდოვანია; არსებული გამოწვევები ჯერ კიდევ გადაუჭრელია

თბილისი - 2018 წლის ოქტომბერში დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების მიუხედავად, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო დელეგაციის დაკვირვებით, ბევრი საკითხი კვლავ ბუნდოვანია. არჩევნების თარიღი ჯერ დანიშნული არ არის; მმართველ პარტიას (ქართული ოცნება) ჯერ არ გადაუწყვეტია, დაასახელებს თუ არა კანდიდატს; გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ არც ამჟამინდელ პრეზიდენტს მიუღია; პრეზიდენტის ინსტიტუტის შეზღუდული ფუნქციების გამო პარტიების მოსაზრებები არჩევნების მნიშვნელობასთან დაკავშირებით იყოფა, რაც საზოგადოებას წინააღმდეგობრივ გზავნილებს აწვდის. შემცირებული პასუხისმგებლობების ფონზე კი, პრეზიდენტს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მანდატი გააჩნია: წარმოადგინოს მოქალაქეები და ეროვნული მნიშვნელობის მქონე საკითხების ირგვლივ დისკუსიების წამოჭრას. ოპოზიციური პარტიები ასევე აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტს აქვს შესაძლებლობა, მთავრობა დამატებით გააკონტროლოს და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ქვეყანა წარმოადგინოს.

“საპრეზიდენტო არჩევნები არის შესაძლებლობა კანდიდატებისა და პარტიებისთვის, წარმოადგინონ დამარწმუნებელი ხედვა, რათა მუხტი შემოიტანონ საზოგადოებაში, რომელიც პოლიტიკური ლიდერებით იმედგაცრუებულია”, - განაცხადა NDI-მა. “მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის ფუნქციები ადამიანების ყოველდღიური ზრუნვის საკითხების - განსაკუთრებით, ეკონომიკის - ჭრილში იქნას განხილული; თუმცა ისეთი დაპირებების გაცემის გარეშე, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებას სცილდება.”

საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო უმეტესწილად საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას უწყობს ხელს. თუმცა, დიდი ხნის განმავლობაში არსებული პრობლემები, რომელიც ამ მთავრობის უფლებამოსილების ვადას

სცილდება, კვლავ გადაუწყვეტელი რჩება. ეს გამოწვევები ორ, ურთიერთგადაჯაჭვულ სფეროდ შეიძლება დაიყოს: რესურსები და დაშინება. რესურსების გამოწვევა კამპანიისთვის არათანაბარ შემოწირულობებს და ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენებას გულისხმობს - ორივე მმართველი პარტიის სასარგებლოდ. სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული დაშინების სავარაუდო ფაქტები და ძალადობის (თუმცა იშვიათი) ინციდენტების გამოძიების არდასრულება დაუსჯელობის გზავნილს აგზავნის და საარჩევნო გარემოში შიშის ელემენტი შემოაქვს. მმართველი პარტია და ოპოზიცია ამ გამოწვევების მასშტაბებზე ვერ თანხმდება.

დამატებით გამოწვევებს ასევე წარმოადგენს: საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის ცვლილება, ხმების დათვლის და ბიულეტენების შეჯამების პროცედურების დამატებითი განმარტება და საჩივრების განხილვა. მათი გადაწყვეტა სამართლებრივი და პროცედურული ღონისძიებების გატარებით არის შესაძლებელი.

დელეგაციამ ანგარიშში წარმოადგინა რიგი რეკომენდაციებისა, რომელთა შესრულება *არჩევნებამდე* არის შესაძლებელი. სხვათა შორის, ეს რეკომენდაციები მოიცავს:

- პრეზიდენტმა რაც შეიძლება მალე უნდა გამოაცხადოს არჩევნების თარიღი, რათა კამპანიასთან დაკავშირებული რიგი რეგულაციები ამოქმედდეს და კანდიდატებსა და პარტიებს ოფიციალური კამპანიის დაწყების შესაძლებლობა მიეცეთ;
- მთავრობის ხელმძღვანელობამ ყველა საჯარო მოხელეს და საზოგადოებას მკაფიო გზავნილი უნდა გაუგზავნოს, რომ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მიმართ შეუმწყნარებელი იქნება და რომ მოძალადეებს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ;
- პროკურორებმა და მოსამართლეებმა 2016 და 2017 წლების არჩევნების დროს ჩადენილი ძალადობის ფაქტების მიუკერძოებელი და დროული გადაწყვეტა უნდა უზრუნველყონ, რათა მომავალში მსგავსი ფაქტები თავიდან იქნას აცილებული და საზოგადოებას პოზიტიური მესიჯი მიეწოდოს;
- და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ამჟამად მწვავე არ არის, ოპოზიციური და მმართველი პარტიები თანხმდებიან, რომ საქართველოში დემოკრატიაზე შეტევები ხორციელდება და დეზინფორმაციის უწყვეტი ნაკადია. ამ შეტევებთან გამკლავების მიზნით საქართველოში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მთავრობამ ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ.

დელეგაციას მიაჩნია, რომ შემოთავაზებულმა საკანონმდებლო და ტექნიკურმა ცვლილებებმა შესაძლოა, საარჩევნო პროცესში არსებულ ზოგიერთ პრობლემას უპასუხოს. თუმცა 2018 წლის არჩევნების ყველაზე სერიოზულ წინააღმდეგობას მხოლოდ კანონები და პროცედურები ვერ გაუმკლავდება. როგორც აღვნიშნეთ, რესურსების - განსაკუთრებით სახელმწიფო რესურსების სავარაუდო გამოყენება - და ამომრჩევლის და კანდიდატების დაშინებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას პოლიტიკური ნება სჭირდება. ამას მთავრობის ყველა დონეზე პროაქტიული მიდგომა სჭირდება. გამოყენებული უნდა იყოს ზედამხედველობის (განსაკუთრებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის), აღსრულების და სანქციების დაწესების მექანიზმები. დარღვევების ამ წრის გარღვევას

არჩევნების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება და საქართველოში დემოკრატიის განმტკიცებას შეუწყობს ხელს, რაც ამ მთავრობისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს.

დელეგაცია ხაზს უსვამს, რომ იგი არ ერევა საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესებში და მიიჩნევს, რომ არჩევნების სანდოობასა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას საბოლოოდ საქართველოს მოსახლეობა შეაფასებს. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშს დელეგაცია საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების მხარდაჭერისა და გაძლიერების სულისკვეთებით წარმოადგენს.

დელეგაციის შესახებ

23-27 ივლისის პერიოდში საქართველოს დელეგაციის შემდეგი წევრები სტუმრობდნენ: პერ ეკლუნდი, ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი საქართველოში; კარლ ინდერფურტი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე და NDI-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; კრისტინ ტოდ-ვიტმანი, ნიუ ჯერსის შტატის ყოფილი გუბერნატორი და გარემოს დაცვის სააგენტოს ყოფილი ადმინისტრატორი; მარია ბაბიჩი, დამოუკიდებელი საარჩევნო ექსპერტი; ლორა თორნტონი, NDI-ის ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში; და მელისა მუსიო, საქართველოში, თურქეთსა და ცენტრალურ აზიაში NDI-ის პროგრამების დირექტორი.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია კანდიდატებს, პოლიტიკური პარტიებისა და ხელისუფლების ლიდერებს, საარჩევნო ადმინისტრაციას, მედიის, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. სექტემბერში ქვეყანას ინსტიტუტის გრძელვადიანი ანალიტიკოსები ეწვევიან. ამას გარდა, არჩევნების დღისთვის საქართველოს NDI-ის საერთაშორისო სადამკვირვებლო დელეგაცია ეყოლება. NDI მჭიდროდ თანამშრომლობს შემდეგ სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI) და სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვანი საქართველო (PMMG). სადამკვირვებლო დელეგაციას აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) აფინანსებს.

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისათვის მსოფლიოში. დამატებითი ინფორმაცია NDI-ისა და მისი პროგრამების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org

###